ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5712671

ნომერი: AR1865388

თარიღი : 01.12.2021

გაცემის თარიღი : 03.12.2021

გაცნობის თარიღი : 06.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ათონელი , N 27 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ათონელის , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სტ ლოჯიკ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405291250
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ჩხარტიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61004007539

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი ჩხარტიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 01 დეკემბრის AR1865388 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ათონელის ქ. N27; გ. ათონელის ქ. N27-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საჭიროა პროექტი დამუშავებული იქნეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით (ოქმი N28, 26.08.2021წ.) და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. თქვენ მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია შენობის გამაგრება, თუმდა არარენტაბელურია. წარმოდგენილი იქნეს კონსტრუქციული დასკვნა შენობის დაშლის აუცილებლობისა და გარდაუვალობის თაობაზე. განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება";

2..საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:
- წარმოდგენილი იქნეს განახლებული ტოპოგეგმა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებისა და არსებული შენობების სრულად და სწორად ასახვით, ხაზობრივი ნაგებობებით, ხე.ნარგავებით; ხაზობრივ ნაგებობებათნ დაკავშირებით წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყების პოზიციები;
- ხე-ნარგავების მოჭრა გადარგვის შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს ხე-ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და გამწვანების პროექტი;
- არ არის წარმოდგენილი არსებული გენგეგმა;

3. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დაზუსტდეს და სწორად იქნეს შევსებული არქიტექტორის მონაცემები;

4..კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: არ არის წარმოდგენილი:
- შემსრულებლის მიერ ხელმოწერილი განამრტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით (არსებული, საპროექტო);
- ძეგლის არქეოლოგიური (დეტალური) ანაზომები, არქიტექტურული ელემენტების დეტალები, შაბლონები;
- ყველა სართულის გეგმა;
- გეგმები და ჭრილები არ შეესაბამება ერთმანეთს;
- გათვალისწინებული იქნეს სახელოვნებათმცოდნეო კვლევის რეკომენდაციები სხმული ლითონის კიბისა და არქიტექტურული კაზმულობის რეაბილიტაციის თაობაზე. წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი გრაფიკული მასალა;
- ვინაიდან კონსტრუქციული დასკვნის მიხედვით შესაძლებელია შენობის შენარჩუნება, საჭიროა დამუშავდეს არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი, საპროექტო ნახაზებზე მოინიშნოს შესანარჩუნებელი ნაწილები ;
- საპროექტო გეგმებზე მიჯნის ნაწილებში დატანილი იქნეს ღიობიდან და ექსპლუატირებადი ფართებიდან საკადსტროებამდე მანძილებ;
- წარმოდგენილი იქნეს განმარტება, რა არის აღნიშნული ღია მომწვანო ტონალობით;

5. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტი;

6. არ არის წარმოდგენილი კონსტუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგომარეობისა და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესაძლო ზეგავლენის შეფასებით;

7..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს არსებული რეალური სიტუაციის ამსახველი ფოტოები დღეის მდგომარეობით;
8..ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). :
- არ არის წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი სხვადასხვა ხედიდან რეალურ განაშენიანებაში ჩვენებით, მასალის, ზომების, ნიშნულების, ფერის კოდების მითითებით.
- დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში.
9. არ არის წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი დროებითი სამშენებლო ღობის ჩვენებით. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია (მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი). იმ შემთხვევაში, თუ დროებითი საფარიანი სამშენებლო ღობე იჭრება (კონსოლურად) საზოგადოებრივ სივრცეში, წარმოდგენილი იქნეს ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
10. დამკვეთის ველიდან ამოიშალოს ირაკლი ჩხარტიშვილი და მისი პირადი ნომერი, დაფიქსირდეს შპს „სტ ლოჯიკის“ დირექტორი ლაშა კვაჭაძე და მისი პირადი ნომერი;
11. წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა;
12. წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა მიმდინარე განცხადებით განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში თანხმობას დაერთოს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.